# თემთა ინიციატივა

იყავი აქტიური!!! მიიღე მონაწილეობა მართვაში

№9 / 2008წ /

ყოველთვიური ჩანართი


# როგორი შეფასებას აძლევს „ინტელექტი" „თემთა მობილიზაციის ინიციატივის" მესამე ეტაპს

როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივის" განხორციელებას იწყებდა, პრობლემას წარმოადგენდა ისეთი საკითხები, როგორიცაა თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ფორმების, მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების კვლევების მეტნაკლებად ობიექტური მეთოდების არ არსებობა, მოსახლეობა არ იყო ჩართული პრობლემების კვლევისა და პრიორიტეტიზაციის საკითხებში, ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული მათი თემებისაკენ მიმართული საბიუჯეტო სახსრების განკარგვაში. არ არსებობდა ურთიერთკავშირი თემის მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ახალი პროექტის შემუშავებას.

პროექტის განხორციელება 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო და მოიცავს აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) 63 თემს. პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სია საკმაოდ ვრცელი და ბევრის მომცველია. პროექტის პირველი ეტაპი მოიცავდა ხუთი მუნიციპალიტეტის ყველა თემში მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარებას, თემში არსებული პრობლემების პრიორიტეტიზაციის მიზნით. მეორე ეტაპზე თემებში არჩეულ საინიციატივო ჯგუფებთან ერთად გამოვლენილ პრობლემებზე მიზნობრივი პროგრამების შემუშავება მოხდა. ხოლო მესამე ეტაპი იყო საჯარო შეხვედრების ორგანიზება და მიზნობრივი პროგრამების ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისათვის წარდგენა.

თუმცა როგორც „ინტელექტის" ეკონომისტ-ექსპერტები ამბობენ, საჯარო განხილვებამდე ბევრი საფეხური იყო გასავლელი. თავიდან მზა მიზნობრივი პროგრამები კორექტირებისათვის დაეგზავნათ თემების საინიციატივო ჯგუფების წევრებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. შემდეგ თემის მობილიზატორი და „ინტელექტის" ეკონომისტ-ექსპერტები ხვდებოდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრებს და განიხილავდნენ მიზნობრივ პროგრამებს. მხოლოდ ყველა ამ პროცედურის გავლის შემდეგ დაიგეგმა საჯარო განხილვები.

როგორ ჩაიარა საჯარო შეხვედრემა ამაზე „ინტელექტის" ეკონომისტ-ექსპერტები, მიხეილ ანანიძე და ირაკლი კახაძე ისაუბრებენ:

მიხეილ ანანიძე: „საჯარო განხილვები უნდა დაწყებულიყო აგვისტოს თვეში, მაგრამ ქვეყანაში ომი დაიწყო, შემდეგ იყო საშიშროება პროექტის შეჩერებისა და ეს პროცესი ცოტათი გადაიდო. თუმცა, ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა მოლოდინები გაამართლა, რადგან დაინტერესება მოსახლეობის და ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ძალიან დიდი იყო. შეხვედრებზეც ორივე მხარე აქტიურად იყო წარმოდგენილი". ექსპერტების თქმით, ხუთივე მუნიციპალიტეტში ყველა თემს ჰყავდა წარმომადგენელი, რომელიც თავისი თემის პრობლემას საჯაროდ გაიტანდა.

ირაკლი კახაძე: „ამ შეხვედრებს არ ჰქონდა ფორმალური სახე, ეს იყო ღია,



საჯარო და საქმიანი შეხვედრა, რომელზეც მოსახლეობაც და ადგილობრივი ხელისუფლებაც ერთმანეთის აზრს ისმენდა და იზიარებდა. იქ დასმული არც ერთი შეკითხვა არ დარჩენილა პასუხის გარეშე. საქმისადმი სერიოზული მიდგომა, ჩემი აზრით, იმანაც განაპირობა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, მოსახლეობა საერთო შეხვედრებიდან ბოლომდე პროექტში ჩართული იყო და ჩვენი მხრიდანაც არც ერთი ნაბიჯი ფორმალურად არ გადადგმულა."

მიხეილ ანანიძე: „შეხვედრას ხულოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში საკრებულოს თავმჯდომარეებიც ესწრებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ პრობლემების განხილვაში. ყველა მუნიციპალიტეტში მაღალი დაინტერესება იყო გამგეობებისა და საკრებულოების საფინანსო სამსახურების მხრიდანაც. მსგავსი შეხვედრები ყველა მუნიციპალიტეტში პირველად გაიმართა და აქტიურობა ყველგან ერთნაირი იყო, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქობულეთის მუნიციპალიტეტი. სადაც მთელი ჩვენი მათთან თანამშრომლობის მანძილზე და „თემთა მობილიზაციის ინიციატივა"-ს განხორციელების განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლების ასეთი მაღალი დონის ჩართულობა პირველი იყო, რაც სასიამოვნო ფაქტია."

ირაკლი კახაძე: „კარგი იქნება თუ მსგავსი შეხვედრები ტრადიციად დამკვიდრდება ყველა მუნიციპალიტეტში და აქტიური დიალოგი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის არასამთავრობო ორგანიზაციების გარეშეც გაიმართება. ეს ხელს შეუწყობს თვითმმართველობების ავტორიტეტის ამაღლებას საზოგადოებაში და მოსახლეობის მხრიდანაც მეტი დაინტერესება იქნება საკუთარ პრობლემაზე ღიად და აქტიურად ისაუბროს."

პროექტის მესამე ეტაპის დასრულების შესახებ „ინტელექტის" გამგეობის თავმჯდომარე და პროექტის დირექტორი ბატონი ლევან გობაძე საუბრობს:

**დასრულდა პროექტის რეალიზაციის მესამე ეტაპი. როგორ შეაფასებდით გაწეულ საქმიანობას?**

დიახ, აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში დასრულდა კავშირი „ინტელექტი"-ს ექსპერტებისა და თემების მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფების მიერ ერთობლივად შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე უდიდესი სამუშაო იქნა გაწეული. შემუშავდა 63 მიზნობრივი პროგრამა. შემუშავებული მიზნობრივი პროგრამები მოიცავს არამარტო არსებული პრობლემების აღწერას, მისი რეალიზაციის დასაბუთებას და გადაწყვეტის გზებს, არამედ განსახორციელებელ სამუშაოთა დეტალურ აღწერილობას და ხარჯთაღრიცხვას, რაც საშუალებას გვაძლევს, ყოველი მიზნობრივი პროგრამისათვის რეალურად შევაფასოთ განსახორციელებელ სამუშაოთა მოცულობები და მათი ღირებულებები.

ასევე წარმატებით ჩატარდა საჯარო განხილვები სამიზნე მუნიციპალიტეტებშიც.

საქართველოში განხორციელებული რუსული აგრესიის გამო პროექტი დახურვის საშიშროების წინაშეც იდგა, მაგრამ კავშირი „ინტელექტი"-სა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მისი რეალიზაცია გაგრძელდა.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ამ ეტაპზე დასახული ამოცანები სრულად იქნა შესრულებული. შესაბამისად, პროექტის რეალიზაციის ეს ეტაპიც შეიძლება შევაფასოთ, როგორც წარმატებული.

**ჰქონდა თუ არა ადგილი ხარვეზებს პროექტის განხორციელებისას?**

თუ არ ჩავთვლით შეფერხებას საომარი მოქმედებების გამო, ამ ეტაპზე სხვა ხარვეზებს პროექტის რეალიზაციის ამ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია.

**როგორ შეაფასებდით ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დამოკიდებულებას პროექტის და მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვების მიმართ?**

პროექტის რეალიზაცია დაიწყო გასული წლის ოქტომბრიდან. ერთი წლის განმავლობაში საშუალება გვქონდა უშუალოდ დავკვირვებოდით სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებს. შევისწავლა მისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროექტის მიმდინარეობაზეც.

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" პირდაპირ მიუთითებს, რომ „საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის".

ეს ჩანაწერი კანონში უდავოდ პროგრესული მოვლენაა და მისი რეალური შესრულება პირდაპირ ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოების საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობის ხარისხს. სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნა, როგორც მოწმობს პრაქტიკა, არ სრულდება, რადგანაც არ არის ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კანონის ამ მოთხოვნის რეალიზაციას.

ჩვენი პროექტის მიზანია სწორედ ასეთი მექანიზმების დანერგვა. ანუ ისეთი კვლევების სისტემისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების ობიექტური განსაზღვრა. არსებული სისტემის დანერგვა საშუალებას მოგვცემს მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ იქნეს თემების მოსახლეობის შეჯერებული აზრი ყველა სოციალური, გენდერული, ასაკობრივი ჯგუფების მონაწილეობით.

არ შემიძლია ვთქვა რომ, თვითმმართველობის ორგანოებს არ მოსწონთ პროექტი. საჯარო გამოსვლებში ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მიესალმა მის განხორციელებას. მაგრამ როგორც განვლილი პერიოდი მოწმობს, ინტერესი უფრო მეტია მზა პროდუქტის - შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების მიმართ, ვიდრე თვით საბიუჯეტო კვლევების სისტემის დანერგვისადმი.

არსებული დამოკიდებულება განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებიც სისტემურ და ლოკალურ ხასიათს ატარებს.

სისტემური ფაქტორებიდან აღსანიშნავია საბიუჯეტო პროცესების მკაცრი ცენტრალიზაცია და დირექტიული მართვის პრინციპების დომინირება. თვითმმართველობის ორგანოები არ არიან დამოუკიდებელი საკუთარი ბიუჯეტების შემუშავებისა და განკარგვის დროს. პრიორიტეტები და მათი დაფინანსების წყაროები განისაზღვრება ზემოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ და იქედან მიეწოდება თვითმმართველობის ორგანოებს. შესაბამისად, მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით გამოიყოფა ფული ბიუჯეტიდანაც.

ლოკალური ფაქტორებიდან აღსანიშნავია საკრებულოების სუსტი როლი თვითმმართველობის პრინციპების რეალიზაციაში. დღეს არსებული საკრებულოები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას - დაიცვან მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ინტერესები, იყვნენ მათი ნების გამომხატველები.

ამ საკითხების განხილვისას მივდივართ სახელმწიფოს ფუნქციონირების ისეთ ფუნდემანტალურ საკითხებამდე, როგორიცაა მმართველობის დეცენტრალიზაცია, რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, ხელისუფლების ანგარიშვალდებულება, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია.

# შუახევის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების პრობლემები

არასამთავრო ორგანიზაციამ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ პროექტით „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში აჭარის მუნიციპალიტეტებში პრობლემების კვლევა 2007 წლის ბოლოდან დაიწყო. პრობლემები თემების და მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. შუახევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია, ალბათ სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტორი, რომ მუნიციპალიტეტში შემავალი 9 თემიდან სამ თემში (ოლადაურში, დღვანში და წყალსაყარში) პრობლემებს შორის პრიორიტეტად DT-75 ტიპის ტრაქტორის შეძენა დაასახელეს, ხოლო შუბნის, ბარათაულის და უჩამბის თემებში მრავალადგილიანი და მაღალი გამავლობის მქონე პაზ-3205 ტიპის ავტობუსს ითხოვენ.

ოლადაურის, დღვანის და წყალსაყარის თემები ზღვის დონიდან 800 მეტრზე მაღლა მდებარეობენ, სწორედ ეს განაპირობებს ამ თემებში დიდთოვლობას, რომელიც 5-6 თვის განმავლობაში გრძელდება. არის შემთხვევები, როცა რამოდენიმე კვირის და ხანდახან რამოდენიმე თვის განმავლობაში თემებში მისასვლელი გზა ჩაკეტილია, სხვადასხვა მიმართულებით ვერ ხერხდება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. გამოძახების შემთხვევაში სასწრაფოს მანქანა ვერ მიდის დანიშნულების ადგილამდე, რაც, ხშირ შემთხვევაში ცუდი შედეგით მთავრდება. მოსახლეობას ზამთრის პერიოდში ხშირად უხდება შუახევის ცენტრში მდებარე საავადმყოფოში ავადმყოფის ხელით გადაყვანა. თემების მოსახლეობა ზამთარში ცენტრამდე და პირიქით ფეხით გადაადგილდება. ამას ემატება მოსახლეობის ის კატეგორიაც, რომლებიც დასაქმებული არიან შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში. რთულია გადაადგილება თემებში შემავალი სოფლების მოსწავლეებისათვისაც, რომლებიც სწავლობენ თემებში არსებულ სკოლებში. მოსახლეობას უძნელდება თავიანთი წარმოებული პროდუქციის გასაყიდად ბათუმის ბაზარზე გატანა, რაც აუცილებელია აქ მცხოვრებ მოსახლეობის არსებობისთვის. თემების მოსახლეობას ზაფხულში თავიანთი პირუტყვი მიჰყავთ საგაზაფხულო იალაღებზე, სადაც მოსახლეობა აწარმოებს რძის პროდუქციას და მოჰყავს კარტოფილი, მოსახლეობა შემოსავალის 30 % სწორედ აქედან ღებულობს. იალაღები თემებიდან 60 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული. საგაზაფხულო იალაღებზე მისასვლელ გზები გაზაფხულის პერიოდში, როცა თოვლი დნება საშინელ მდგომარეობაშია, გზებზე ხშირია მეწყერი, რის გამოც მოსახლეობას ხელი ეშლება პირუტყვისა და ტვირთის გადატანაში.

ზემოთხსენებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სამივე თემში DT-75 ტიპის ტრაქტორის შეძენით, რომელის საშუალებითაც ზამთარში გზები თოვლისაგან გაიწმინდება, ხოლო გაზაფხულზე მოხდება ამორტიზირებული გზების რეაბილიტაცია.

შუახევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ნუგზარ ამაღლობელის თქმით შუახევის მუიციპალიტეტმა უკვე მიიღო ერთი DT-75 ტიპის ტრაქტორი, თუმცა რომელ თემს მოემსახურება ეს ტრაქტორი ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ. სამომავლოდ დაგეგმილია მუნიციპალიტეტისათვის კიდევ რამოდენიმე მსგავსი ტიპის ტრაქტორის შეძენა.

რაც შეეხება შუბნის, ბარათაულის და უჩამბის თემებს აქ მოსახლეობის ძირითად შემოსავალ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. სურსათი სარეალიზაციოდ გადააქვთ ქალაქ ბათუმში, ამისათვის მოსახლეობას ესაჭიროება სატრანსპორტო საშუალება. მართალია თემებში დადის დაბალი გამავლობის და ამწეობის მიკროავტობუსები ქალაქის მიმართულებით და პირიქით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსახლეობა მოწეული პროდუქციის 80% სარეალიზაციოდ ამზადებს, რაც წლიურად დაახლოებით 700 ტონას აღწევს, დაბალი გამავლობის მიკროავტობუსები კი ვერ ახერხებენ ტვირთის გადატანას. მიუხედავად იმისა, რომ ბარათაულის თემში დღეში ერთხელ მაღალი გამავლობის და ამწეობის პაზ-672 მარკის ავტობუსი ბარათაული-ბათუმის მიმართულებით დადის, მაგრამ აქ მცხოვრებ მოსახლეობის მოსახლეობას მაინც ვერ აკმაყოფილებს, რადგან ავტობუსი მოძველებული და ამორტიზირებულია. ხშირია შემთხვევა, როცა ავტობუსი სიძველის გამო მწყობრიდან გამოდის, მაგრამ მოსახლეობა იძულებულია მაინც გადაადგილდეს ზემოთ აღნიშნული ამორტიზირებულ ავტობუსით, რაც არ გამორიცხავს უბედურ შემთხვევას.

არსებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მრავალადგილიანი და მაღალი გამავლობის მქონე პაზ-3205 ტიპის ავტობუსის შეძენით და მისი ხაზზე დანიშვნით, რაც ხელს შეუწყობს თემიებს მოსახლეობას სრულყოფილად განახორციელონ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და თემიდან გადაადგილება, რაც სამომავლოდ აისახება მათ ეკონომიკური მდგომარეობაზე.



# საჯარო განხილვები ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებშიც გაიმართა



*საჯარო შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში*

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი 19 თემიდან 12 (დაგვას, გვარას, ქაქუთის, ალამბარის, ციხისძირის, დაბა ჩაქვის, მუხაესტატეს, ოჩხამურის, ზენითის, ჭახათის, ლელვას და სოფელ ქობულეთის) თემს ესაჭიროერა შიდა გზების რეაბილიტაცია, ხუცუბნის, კვირიკის და საჩინოს თემების მოსახლეობას წყლის სისტემის რეაბილიტაცია მიაჩნია პრიორიტეტულად, ჩაისუბნის თემს მდინარე ჩაქვისწყალზე ნაპირსამაგრი დამბებისა და ჯებირების გამართვა სურთ, ბობოყვათსი კულთურის სახლის და ხალას თემში საბავშვო ბაღის აშენება, ხოლო აჭყველებს ავტობუსის დანიშვნა სურთ.

7 ნოემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციამ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი 19 თემის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარ თემში მოსახლეობის საერთო კრებებზე გამოვლენილ პრობლემებზე შედგენილი მიზნობრივი პროგრამები წარუდგინეს. რომლებიც არასამტავრობო ორგანიზაციამ საინიციატივო ჯგუფების წევრებთან ერთად შეიმუშავა.

„დღევანდელი გადასახედიდან უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ხალხისაკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია მივიდა ხალხთან, ესაუბრა, გაითვალისწინა მათი მოთხოვნები და სწორედ ის მოთხოვნებია შერჩეული, რაც მათთვის პრიორიტეტულია. მართალია პროექტის რეალიზაციის პერიოდში ზოგი პრობლემა მოგვარდა, ზოგსაც კორექტირება ესაჭიროება, მაგრამ კორექტირების დროსაც აუცილებლად უნდა იყოს ხალხის აზრი გათვალისწინებული, რადგან სოფელში მცხოვრებმა უკეთ იცის რა აწუხებს. კიდევ ერთია გასათვალისწინებელი, ვერ ვიტყვი იმას, რომ მოსახლეობამ არასწორად დასახა პრობლემათა პრიორიტეტი და არასწორად დაინახა პრობლემა, მაგრამ ზოგან უფრო მნიშვნელოვანი იყო ზოგადი და აქცენტი გააკეთეს სხვაზე. როგორც აღვნიშნე ბევრი რამე გაკეთდა, ბევრი საჭიროებს მოსახლეობის ჩართვას თუ რა და როგორ გაკეთდა თუ აქაც აქტიურად იქნებიან ჩართული გამგეობა და საკრებულოც უფრო ეფექტურად იმუშავებენ“ - აღნიშნავს ქობულეთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ კაკალაძე

განხილვის შემდეგ კმაყოფილი იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასც. ქალბატონი ირმა ხალვაში ამბობს, რომ: „აქამდე უიმედოდ ვიყავი, მაგრამ შეხვედრის შემდეგ იმედიანად მივდივარ. არჩევნების წინა პერიოდში ყველაფერს გპირდებიან მაგრამ შემდეგ ივიწყებენ. ეხლა უკვე ჩანს შედეგი. სოფელ დაგვას და გვარას გვესაჭიროება შიდა გზების რეაბილიტაცია. აქამდე ცენტრალური გზა შეაკეთეს, შიდა გზები კი მოიხრეშა იმედი გვაქვს დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. მუნიციპალიტეტში გვპირდებიან, რომ გააკეთებენ, სწორედ ეს იყო შეხვედრის მიზანიც, რომ ჩვენი წინადადებები და თხოვნები მათთან მიგვეტანა, გაითვალისწინებენ თუ არა ამას დრო გვიჩვენებს“.

მსგავსი შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშიც გაიმართა. აქ 13 თემიდან ხუთ თემს (თხილნარის, ახალშენის, შარაბიძეების, ორთაბათუმის და გონიოს) წყლის სისტემის გაუმართაობა აწუხებს. ურეხში, სარფსა და მახინჯაურში პრიორიტეტს შიდა გზების რეაბილიტაცია წარმოადგენს, კირნათლებს და მაჭახლელებს ავტობუსის დანიშვნა სურთ, აჭარისწყლის თემში კულტურის სახლის რეაბილიტაცია. კახაბერში მდინარე მეჯინისწყლის კალაპოტის გაწმენდა, ხოლო დაბა ხელვაჩაურში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge